

## ერთი ეპიზოდი სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან<sup>1</sup>

ამ ოცი წლის წინად, როდესაც მე თბილისის სასულიერო სასწავლებლის უფროსის ადგილი მეჭირა, მოხდა რევიზია სასულიერო სასწავლებლებისა კერსკის მიერ, რომელიც გამოგზავნილი იყო პეტერბურგიდან სინოდის ობერ-პროკურორისაგან.

რევიზია ესე გამოგზავნილი იქნა იმ გარემოებით, რომ ერთმა რუსმა მასწავლებელმა სემინარიისამ კოვროვმა რექტორის ჩაგონებით გაგზავნა პეტერბურგში დაბეულება ქართველებისა და ამან კიდევ იძულებული გახდა ქართველი მასწავლებელი ტურიევი, გაეგზავნა ქაღალდი რექტორის უკანონო მოქმედებათა შესახებ.

ამ რევიზორმა მახეზლარი და ცილისწამებელი დასის წყალობით არა ერთი რუქას არაკი სთქვა ჩემზე და სხვა ქართველებზედა, დაგვწამა გულგრილობა სარწმუნოებაზედ, უკიდურესი დაბეულება და ესრედ წოდებული გრუზინოფილობა.

თ. ჟორდანიამ ყველაზე კარგად იცოდა და იცის, რომ მთელი ანგარიში კერსკისა შედგება არაკებისაგან, ჭორებისაგან, ცილისწამებისაგან ქართველების წინააღმდეგ. ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის საზოგადოებას, რომ გამემტყუნებინა კერსკის ჭორები და დაწამებანი, მაგრამ ვის წინ გამეტყუნებდი? მთავრობისა? წაკითხვითაც არავინ წაიკითხავდა. საზოგადოების წინაშე? დაბეჭდვა შეუძლებელი იყო, რადგანაც კერსკის ანგარიში კანცელარიის საიდუმლოს შეადგენს, თორემ ფრიად ვრცელი გამტყუნება მე დიდი ხანია დამზადებული მაქვს; მაგრამ იგი დროთა ვითარების გამო, ჩემ საწერს სტოლში სხვა ნაწერებთან ერთად განისვენებს.

წარმოიდგინეთ ახლა, რომ თ. ჟორდანიამ თბილისის სასულიერო სემინარიის 75 წლის იუბილეზედ წაიკითხა მოხსენება, რომელშიც არამც თუ ის გაიმეორა, რასაც კერსკი ამბობს თავის ანგარიშში ქართველებზედა, არამედ იმისთანა ბრალიც დასდო მათ, რომლის შესახებ კერსკის კენტი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი. კერსკის ყველა ჭორი, რაც კი მახეზლარებისაგან გაუგონია ქართველებზედ, დიდი სიამოვნებით ჩაუყვანია თავისს ანგარიშში. ხოლო მაშინდელ რექტორის შესახებ, ამბობს მხოლოდ იმას, რაც დოკუმენტებით იყო დამტკიცებული და რაც არ შეიძლებოდა არ მოეხსენებინა. ქართველების შესახებ დამტკიცებულია ნამდვილი საბუთით მხოლოდ ორი რამ: პირველი რაიმე იმაში მდგომარეობს, რომ ივანი ( ე.ი. ქართველი მასწავლებლები ) დამნაშავე მოწაფეების გარიცხვას ეწინააღმდეგებოდნენ და გამასწორებელს ზომებს უჩვენებდნენ. მეორე ისა, რომ იმათ გამოაწერინეს მთავრობას სემინარის ბიბლიოთეკისათვის, რომელიც მანამდის სავსე იყო მხოლოდ სქოლასტიური სასულიერო წიგნებით, პროგრესული მწერლობის, საერო მწერლობის თხზულებებიცა: ბოკლისა, დრეპერისა, გიზოსი, სმაილისა,

<sup>1</sup> სტატიის დედანი დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ი.გოგებაშვილის ფონდში. სტატია ეხება 1874 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელში სინოდის ობერ-პროკურორის რწმუნებულ კერსკის მიერ ჩატარებულ რევიზიას, რომლის მიზანი იყო პოლიტიკური ორგულობისა და სეპარატიზმის ბრალდებით ი.გოგებაშვილი ჩამოეშორებინათ პედაგოგიური მოღვაწეობისაგან.

გარტვიგისა, და სხვათა ამგვართა, და საზოგადოდ ცდილობდნენ, რომ მომავალნი მწყემსნი საქართველოს ერისა ყოფილიყვნენ აღჭურვილნი ფართო განათლებით და ღვთის მეტყველების გარდა კარგად სცოდნოდათ საერო მეცნიერებაცა. ეს კერსკის, როგორც მთელი სქოლასტიკურის მიმართულების კაცსა და მთელს მეკანცელიერეს, - რომელიც სმაილსის ყოვლად უმანკო თხზულებასაც კი „თვითმოქმედება“ სთვლის მავნებელ წიგნად, დიდ ცოდოდ უნდა ჩაეთვალა და კიდევაც ჩასთვალა. გარნა მაშინდელი რექტორის წინაშე შემდეგ დამტკიცდა სრულიად სხვა გვარი საქმენი. კერსკი იძულებული გახდა დოკუმენტალური დამტკიცებით ელიარებინა თავის ანგარიშში: პირველად ისა, რომ რექტორი იმდენად დაბალი გონებისა იყო, რომ თავისი სიტყვით ვერაფერს ახერხებდა გაკვეთილებზედა, მხოლოდ ზეპირად სწავლობდა სახელმძღვანელოს და ისე ამბობდა გაკვეთილსა; მეორედ: რომ მას ფულები ერთმია ეკონომისათვის და ამ ფულების მიმღებად ჩაეწერებინა მოგონილი პირები; მესამედ: რომ იგი ისე ცუდად ინახავდა მოწაფეებს, რომ სიცივით და შიმშილით იხოცებოდნენ; მეოთხე: რომ იგი მთვრალი დაიარებოდა ხშირად თვით საბჭოს კრებებზედა; მეხუთედ: რომ იგი იყო ინტრიგანი და ინტრიგანობით იშოვნა რექტორის ადგილი, რომლისათვისაც მას საჭირო ცენზი არ ჰქონდა; მეექვსე: რომ იგი იღებდა ცალკე ფასს შტატის გაკვეთილებში, რომელნიც მას უნდა ეძლია მუქათათ, როგორც რექტორსა და სხვანი ამ გვარნი... მიუხედავად ამისა, კერსკი თავის ანგარიშში ურჩევს მთავრობას არა დათხოვნას რექტორისას, არამედ მის გადაყვანას შუაგულს რუსეთში - თითქმის დაჯილდოებას. შესანიშნავია, რომ უმაღლესმა მთავრობამ სხვა დასკვნა გამოიყვანა რექტორის შესახებ აღიარებულ ბოროტ-მოქმედებათაგან და იგი დასასჯელად გაგზავნა უბრალო ბერად ერთს მონასტერში. რომ იგი ჯერ ელაქუცებოდა ქართველებსა, ქართულს ენაზედ ზრუნავდა და როდესაც ხელში იგდო უფროსობა მათი შემწეობით, მაშინ ზურგი შეაქცია და დევნა დაუწყო: განა პატიოსანი და სასწავლებლისთვის გულშემატკივარი მასწავლებელი მოითმენს, რომ ამისთანა კაცს ოპოზიცია არ გაეწიოს?

ქართველების შესახებ რაღა ზომა ურჩია მთავრობას რევიზორმა? ვიდრე ამის პასუხს ვიტყვოდეთ, საჭიროა მოვიხსენიოთ ერთი ჭორი ქართველების შესახებ, რომლით და რომელზედაც ამყარებს თავის ნარჩევს ღონისძიებას მათ წინააღმდეგ. დამტკიცებისათვის ყოველ ღონისძიებას ხმარობს კერსკი. რაში მდგომარეობს ეს ჭორი? სემინარიის მოსამსახურე ქართველებმა შეადგინეს ქართული პარტია და ცდილობდნენ ყველა ადგილები სემინარიაში თავისს თანამემამულეებისათვის დაეჭერინებინათ და რუსები თანდათან გამოეძევიებინათო. მერე რით ამტკიცებს ამას? პირველად მოწმეები მოჰყავს: ყველა რუსმა მასწავლებელმა აღიარა ესაო და მათ დაემოწმა ერთი ქართველიც, სახელდობრ დეკანოზი გიორგი ხელიძეო. ამ უკანასკნელმა ისიც დაუმატა, რომ მეც მიპირებდნენ განდევნას სემინარიიდან რუსთა პარტიას რად ეკუთვნისო. აქ ურევია ერთი დიდი და საზიზღარი ტყუილი: ორი ახალგაზრდა და პატიოსანი რუსი, სახელდობრ ძმანი ცვეტკოვები ყოველს საკითხსა და საქმეში ერთად მოქმედებდნენ ქართველებთან, მათთანვე ერთად იქმნენ აღიარებულნი საეჭვოდ. ერთი იმათგანი ქართველებთან ერთად იქმნა გამოყვანილი მთავრობისაგან საბჭოს წევრობისაგან და ორივენი იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ სემინარია. კერსკის მათთვის არაფერი უკითხავს. რატომ? აშკარად დარწმუნებული იყო, რომ ეს განათლებულნი რუსნი უარყოფდნენ ქართველების პარტიობას და ჩაუშლიდნენ წადილსა. ცვეტკოვებმა კარგად იცოდნენ, ბრომ ქართველებთან ერთად მოქმედებით იგინი მტრად იხდიდნენ სემინარიის

მთავრობას და მაშინდელ ეგზარხოსსა, მაგრამ იმდენად სამართლიანად ხდიდნენ ქართველი მასწავლებლების ოპოზიციასა, რომ იძულებულნი იყვნენ მათთვის მხარი მიეცათ. ვისი მოწმობა უფრო დასაჯერებელია, იმისი ვინც ტყუილისგან თავის თავისთვის დიდს სარგებლობას მოეღოს, თუ იმათი, ვინც სიმართლის თქმით თავის თავს ავნებს, მაგრამ გულწრფელად და აშკარად აღიარებს ამასა. და მართლაც სემინარიაში იბრძოდნენ, არა ქართველები და რუსები, არამედ რექტორი თავისი დახავსებული მომხრეებით, რომელთაც პირადი სარგებელის მეტი არაფერი ესმოდათ, და ყმაწვილი მასწავლებლები, რომელნიც სასირცხვილოდ ჰხდიდნენ თავის თავსა და მავნებლად სასწავლებლისათვის მონური სიჩუმით ეთმინათ საქმენი ბოროტმოქმედნი უვიცი უფროსისა. მეორე საბუთად ის მოჰყავს რევიზორს, რომ ქართველები ცდილობდნენ ქართულის ენის კათედრა დაეარსებინათ სემინარიაში და მოწაფეებს ხანდახან ქართულად ელაპარაკებოდნენო, ასე გასინჯეთ ეგზამენებზედაც არ ერიდებოდნენ ქართული ენის ხმარებასაო. ვაი საწყალი ქართველების ბრალი! თათრებს, სომხებს და ყველა სარწმუნოების ერს რუსეთის იმპერიაში გამართული აქვთ სასულიერო სასწავლებლები, სადაც ყოველი საგანი ისწავლება დედა-ენაზედა და რუსული ენა მხოლოდ საგანს შეადგენს სასწავლებლისასა. ქართულს სემინარიაში კი ყოველი საგნის სწავლება დაწესებულია რუსულს ენაზედა და როცა ქართველები ხმას ამოიღებენ: - ქართული ენა მაინც რიგიანად ასწავლეთო, მომავალს მწყემსებს ქართულის ერისასაო, მაშინვე გაისმის დაბეზლება სეპარატიზმისა და სხვა იზმებისა. მესამე საბუთად ასახელებს ინსპექტორის თანამდებობაზედა არჩევანსა. სულხანოვის დათხოვნის შემდეგ ინსპექტორის ვაკანსია რომ გაიხსნა, ორივე პარტიამ თავისი კანდიდატი წარმოადგინა: რექტორმა კუვშინსკის და ოპოზიციამ ივანე ცვეტკოვი. მაგრამ ამ უკანასკნელმა ცივი უარი განაცხადა. მაშინ იოსელიანის კანდიდატურა იქნა წამოყენებული, რომელიც უმეტესობით იქნა არჩეული; მაგრამ რექტორის მეცადინეობით ექსარხოსის წარდგენით იქმნა დამტკიცებული არა ამორჩეული იოსელიანი, არამედ უარყოფილი კუვშინსკი. კერსკი იოსელიანის არჩევას აბრალებს ქართველების მიდგომით მოქმედებას. „მეტნი იყვნენ კრებაში და თავისი კანდიდატი გაიყვანესო“, ესეც ტყუილი. იოსელიანს თეთრი ჩაუგდეს არა მარტო ქართველებმა, არამედ რუსებმაცა, რომელნიც სრულიად არ იცნობდნენ კუვშინსკისა, რადგანაც იგი ახალი გადმოსული იყო სტავროპოლიდგანა და ალექსანდრეს საოსტატო სკოლაში უბრალო მასწავლებელი. ამითი აიხსნება ის მოვლენა, რომ იოსელიანმა მიიღო თითქმის ორჯერ მეტი თეთრი კენჭი, ვიდრე კუვშინსკიმა.

იოსელიანმა მიიღო სწორედ იმდენი თეთრი, რამდენიც ქართველი იყო, და კუვშინსკიმ იმდენი, რამდენიც რუსებიო.

მაშასადამე ქართველებმა აქ პარტიობა გამოიჩინესო. ნამდვილად კი ამ არჩევნის დროს პარტიები სრულიად სხვანაირად მოხდა. რექტორის მომხრეებს ინსპექტორობა თვითონ უნდოდათ, მაგრამ რექტორმა სხვაგან მოსძებნა კანდიდატი, გაგულისებულმა იმათ უმეტეს ნაწილად შავი კენჭები ჩაუყარეს კუვშინსკისა და თეთრი იოსელიანსა. ისინი ასე ფიქრობდნენ: კუვშინსკი ჩვენ გავაშავოთ, იოსელიანს მთავრობა არ დაამტკიცებს, მოხდება ხელმეორედ არჩევანი და მაშინ შეიძლება წილად ინსპექტორობა ჩვენა გვხვდესო. ზოგმა ქართველმა კუვშინსკის თეთრი ჩაუდო ამ მიზეზების ძალით: ექსარხოსი ძლიერ მონდომილა კუვშინსკის ამორჩევას და ინსპექტორად უთუოდ დაანიშვნინებს, თუნდა ჩვენ

იგი გავაშავოთო. თუ კუვშინსკი ჩვენი სურვილის წინააღმდეგ იქმნა დანიშნული, რექტორს მიემხრობა და საქმე უფრო გაჭირდებაო, ისა სჯობია, რომ ყველა ქართველმა კუვშინსკის თეთრი ჩავუგდოთ მოვიგოთ იმისი გული და ჩვენი მხარე დავაჭერინოთო. მაგრამ ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ტურიევი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ იოსელიანის დაუმტკიცებლობის გამო ხელმეორედ მოხდენილს არჩევანზედ თვითონ იგდებდა ხელში ინსპექტორობასა. ოპოზიცია ორად გაიყო, როგორც რექტორის პარტია, ოპოზიციიდან კუვშინსკიმ მიიღო სამი თეთრი და რექტორის პარტიიდან იოსელიანს ერგო სამივე თეთრი. კერსკი კი ისე ასხვაფერებს ამ შემთხვევას, რომ არამც თუ ოპოზიციის ქართველები გამოჰყავს ეროვნულ პარტიზანებად, არამედ ამასვე აბრალებს თვით დეკანოზ ხელიძეს, რომელმაც ისეთი დამტკიცებანი მისცა თავისი არაქართველობასა. მეოთხე საბუთი აი რაში მდგომარეობს: მაშინდელ რექტორს ჰყავდა ორი თავისი დისწული თავისთანაო და იგინი ჩვენს სემინარიაში სწავლობდნენ; უფროსი იყო ძლიერ ნიჭიერი და პირველი მოწაფე; უნცროსი ნიჭს ვერ დაიკვებებდა, მაგრამ ხასიათით კი მეტად საყვარელი ყმაწვილი იყო. ორივენი ქართველს მოწაფეებს უყვარდათ, ეფერებოდნენ და ასე გასინჯეთ, კანიკულებზედ სოფელშიაც მიჰყავდათ. მათმა ბიძამ იგინი რამდენიმე წლის შემდეგ თავის სამშობლო სემინარიაში გაგზავნა რუსეთში. რად? ჯერ იმიტომ, რომ მაშინ ძველი ენები ჩვენს სემინარიაში არ ისწავლებოდა და დისწულების გაგზავნა კი უნდოდა უნივერსიტეტში, რომლის კარები დახშული ჰქონდა იმათ, ვინც ლათინური და ბერძნული არ იცოდნენ; მეორედ იმიტომ, რომ რექტორს უყვარდა ქვრივეულების ხშირი გამასპინძლება თავის კვარტირაში საღამ-საღამოობით და დისწულები ძლიერ უშლიდნენ თავისუფლად ეკავალრნა. კერსკი კი იცით როგორა ხსნის რექტორის დისწულების გაგზავნას რუსეთში? ქართველ მოწაფეებს სძულდათ იგინი, როგორც რუსებიო, სდევიდნენ და რექტორი იძულებული გახადეს გადაეკარგნა იგინი რუსეთშიო. „საზოგადოდ - დაასკვნის კერსკი, - თბილისის სემინარიაში რუსების სიძულვილი მუშაობდაო, და დასამტკიცებლად მოჰყავს კერძო წერილები თავის ამხანაგებთან მესამე კლასის მოწაფისა დავით კეზელისა, რომელიც მართლა უშვერი სიტყვებით ლანძღავს რუსებსა; მაგრამ განა იგი მართო რუსებს ლანძღავს? არა ნაკლებ ლანძღავს ქართველებსა, ყველა თავისს ამხანაგებსა, მასწავლებლებსა და მეტადრე ამ სტრიქონების დამწერსა. მას მიაჩნია მხოლოდ თავისი თავი მთელს საქართველოში და, ვგონებ მთელს ხმელეთზედაცა, თუ უბრძანებს თავის ამხანაგებს ამ ადრესით მომწერეთ ხოლმე წერილებით: „ერთად ერთს ნიჰილისტს საქართველოსას, იმედს და ნუგეშს ქვეყნისას - რესპუბლიკანელსაო” ( республиканцеву) და ეს ბავშვური ბოდვა ადუღებული ტვინისა, კერძო წერილებში გაგზავნილი, რევიზორმა ჩასთვალა შეურყეველ საბუთად რუსების სიძულვილისა. სად ჰქონდა სათავე ამ სიძულვილსაო? ჰკითხავს თავისს თავს კერსკი და უპასუხებს: უეჭველად ასაკოვან ქართველებშიო!..

მეხუთე საბუთს თავის აზრის დასამტკიცებლად კერსკის ჰხედავს კოვროვის დათხოვნას სემინარიიდანა. კოვროვი მოწაფეებმა იძულებული გახადეს სემინარიისთვის თავი დაენებებინა და სხვა სამსახურში შესულიყო იმის გამო, რომ ქართველი მასწავლებლები ამისთანა მოქმედებაში მათ აქეზებდნენო. ეს კი ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება იძულებულს გვხდის დავხატოთ უტყუარი პორტრეტი კოვროვისა. კოვროვი იყო ქონდრის ტანის კაცი, წელში მოკაკული, ცალი თვალი გამოვარდნილი ჰქონდა და ცალი ყურიდან შეუწყვეტილ იარა სდიოდა. ამასთან სიმთვრალეს ძლიერ იყო მიჩვეული და

ხანდახან ისე გადიროდა ხოლმე ღვინისგან, რომ ამტვრევდა ჭურჭლებს, ფანჯრებს და სხვა დასამტვრევ ნივთებს, რასაც კი ხელი მიუწვდებოდა. ამისთანა შემთხვევაში მას დაამწყვდევდნენ ხოლმე სარდაფის რომელსამე ოთახში. ერთხელ იმერეთის ეპისკოპოზი თბილისში ჩამობრძანდა და სემინარიაში ჩამოხტა. საუბედუროდ გვერდით კოვროვის სადგური იყო, იმ დამეს კოვროვი თურმე თავისებურად დათვრა, გადაირია, ჯერ ფანჯრებს ბოთლები სროლა და ჩახა-ჩუხი დაუწყო, მერე აიღო დიდი ჩაქუჩი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუწყო ბრაგუნის ეპისკოპოზის ოთახის კედელსა, თანაც მაშინელი ხმით იმუქრებოდა: მე მას კამჩატკაში გადავაგზავნიან უთუოთაო. გამოეღვიძა ეპისკოპოზს, შეატყობინა სემინარიის მთავრობასა, მიადგა პოლიციაც, ფანჯრებისა და ბოთლების მჩხვრევით მოზიდული, ძლივ ძლივობით დაიჭირეს გაგიჟებული კოვროვი და გამოფხიზლებამდე ჩამწყვდიეს სარდაფში. „უბედური სემინარია“, „უბედური სასწავლებელი“, ამბობდა გულამოსკვნიტ ყოვლად-სამღვდელო დამსწრე და მაცქერალი ამ ფრიად სამწუხარო მოვლენისა. სიმთვრალეს თითქმის ყოველთვის მოსდევს მეშვიდე მცნების დარღვევა, მრუმობა. კოვროვიც სიმთვრალესთან ერთად შებყრობილი იყო ბუნებითაცა. გარყვნილი მოწაფეები თურმე უთვალთვალდნენ ხოლმე თავის მასწავლებელსა და თვითონაც იქ დაიწყებდნენ სიარულსა, სადაც კოვროვი დადიოდა. ამას იქ ხშირად ავიწყდებოდა სიმთვრალის გამო, ყელსახვევი, ხელსახოცი და სხვა თავისი ნივთები. ამ ნივთებს იგდებდნენ ხოლმე ხელში მოწაფეები და მეორე დღეს კლასში სტოლზედ დაუდებდნენ თავისს მასწავლებელს იმისი გაკვეთილის წინედ. კლასში შესული კოვროვი სტოლზედ რომ თავის ნივთებს დაინახავდა, წითლდებოდა, სირცხვილით იწვოდა, და ამ დროს კლასში გაისმოდა ხარხარი მოწაფეებისა. ეს უბედური არსება ისეთი მშიშარა იყო, რომ თავის ჩრდილისაც კი ეშინოდა. მოწაფეები რასაც უნდოდათ იმას უშვებოდნენ, რა ბალებიც უნდოდათ იმისთანას ასმევინებდნენ. საზოგადოდ კოვროვი მონა იყო სასწავლებლისა. ეს მონობა ძლიერ შორს მიდიოდა. მაშინ დიდი ლიბერალობის დრო იყო, მოწაფეებიც გატაცებულნი იყვნენ ახალი აზრებითა და კოვროვმაც თავისი საგნის სწავლება სწორედ ამ ყაიდაზედ მოაწყო. ის ასწავლიდა საღმრთო წერილსა; იმისი მოვალეობა იყო ეკითხა კლასში დაბადება და სახარება განმარტებით და ახსნიითა. ამის მაგიერ ის კითხულობდა აკადემიურს ლექციებსა იმის შესახებ, თუ რითი ამტკიცებს რენანი თავისს აზრსა, იესო ქრისტე იყო არა ძე ღვთისა, არამედ ძე კაცისა, რითი ასაბუთებს შტრაუსი თავის სწავლასა, რომ მაცხოვარი იმისთანავე მითია, როგორც აპოლონი და იუპიტერი, რა საფუძვლები მოჰყავთ ტიურენგენის სკოლის ღვთის მეტყველთა.

დასამტკიცებლად თავისი აზრისა, რომ იესო ქრისტე იყო უბრალო კაცი, თუმცა უკეთესი რჩეულთა შორის, რომ სახარებები მოციქულებმა კი არ დასწერეს, დაიწერა მესამე და მეოთხე საუკუნეებში თანახმად გაზვიადებულთა და გადასხვაფერებულთა გარდაცმათა და სხვანი, რასაკვირველია, გამტყუნებასაც შეეჭიდებოდა ხოლმე, მაგრამ, მოკლედ, ფორმის გულისათვის. კიდევ კარგი, ასეთი სუსტი ხმით ლაპარაკობდა და ისეთი ძნელი ენა ჰქონდა, რომ მისი ლაპარაკი და აზრები ესმოდათ მხოლოდ უკეთესს მოწაფეებს, რომელნიც წინა სტოლზედ ისხდნენ ხოლმე. უკანა სტოლებზედ მსხდომნი მოწაფეები კი დროს ატარებდნენ ქაღალდის თამაშობაში. ასე გავიდოდა ხოლმე მთელი წელიწადი, მოწაფეებმა არაფერი იცოდნენ საღმრთო წერილიდგან, მაგრამ ხათრიჯამიანი მასწავლებელი წლის ბოლოს ყველას ბალებს კარგს დაუსვამდა ხოლმე. მოვიდოდა ეგზამენების დრო, იჭრებოდნენ მოწაფეები,

უხდებოდათ მათ ეგზამენატორების ხელით ნულები, ერთები და ორები. გაბრაზიანებული მოწაფეები მიდიოდნენ სემინარიის მმართველობის წევრებთან, ისპექტორთან, რექტორთან, უჩიოდნენ პოვროვსა, არას გვასწავლის და იმიტომ არაფერი ვიცითო; მაგრამ ხმა მათი რჩებოდა ხმად მლაღადებელსა უდაბნოში. რათა? იმიტომ რომ პოვროვი იყო ეგრედწოდებული ძლიერ მახლობელი „ზემილიაკი“ მაშინდელი ექსარხოსისა და ამ უკანასკნელს თუ გაუბედავდნენ რასმე მათ წინააღმდეგ, ცეცხლს გაყრიდა ხოლმე თავზედა. ყველანი მოელოდნენ, რომ ამ ყოვლად მახინჯი კაცის გამო სემინარიაში რაიმე უბედურება დატრიალდებოდა და კიდევაც დატრიალდა. როდესაც პეტერბურგიდან მოვიდა თბილისში გრაფ ტოლსტოისგან გამოგზავნილი რევიზორი ზიმჩენკო, მოწაფეებმა ისარგებლეს პოვროვის უკანონო ქცევითა და კერძოთ იმ გარემოებით, რომ პოვროვს კლასში ეთქვა მოწაფეებისთვის „რევიზორი მოვატყუეთო“, და უწესობა მოახდინეს, ასე მოექცნენ, როგორც ეტყობა, იმ განზრახვით, რომ რევიზორის ყურადღება მიექციათ პოვროვის უვარგისობაზე და თავიდან ახლა მანც მოეშორებინათ. რევიზორმა ამ უწესობის გამოძიება მიანდო რექტორსა, რადგანაც თვითონ რევიზია უკვე გათავებული ჰქონდა და რუსეთში დაბრუნებას ეჩქარებოდა. რა აღმოაჩინა ამ გამოძიებაში? გიპასუხებთ კერსკის სიტყვებით: Бывший ревизор Зинченко передавая анонимное письмо исправляющему должность ректора, поручил ему ( ректору ) сделать распоряжение о дознании касательно производивших 10 марта на классе г. К. (Коврова )<sup>2</sup> . Исполнение этого поручения правление, в заседании 20-го марта, возложило на комиссию из исправляющего должность инспектора С . ( Сулханова ), преподавателя Ф. (Фавирелого ) и члена от духовенства и священника К. ( Кончиева ) . Комиссия немедленно приступила к делу и успела отобрать письменные показания от 12 учеников. Показаниями учеников подтверждались возводимые на К. ( Коврова ) обвинения, несмотря на то, что комиссией допрашивались ученики , указанные самим ректором, как благонадежные и более скромные. Показаниями подтверждалось, что К. ( Коврова ) позволил себе в беседе с учениками употребить выражение надуем ревизора, они выражали удивление, каким образом их привлекают к ответственности за шум и беспорядок на уроке 10 марта, когда подобные беспорядки были и прежде и считались обычным явлением на классах К. ( Коврова ) , - утверждали, что и прежде К. ( Ковров ), явившись в класс на уроки, входил в соглашение с учениками о том, читать ли им лекцию по логике, или по обзору философских учений. Ректор до того испугался результатов дознания , что на другой же день по открытии действий комиссии велел прекратить оное, и счел невозможным доложить педагогическому собранию ученические показания“ ( Керский. Отчет о ревизии духовных учебных заведений в Тифлисе в 1873-1874 году, см. стр. 146 )

რისი შეეშინდა რექტორსა? აშკარაა რისა. გამოძიება სრულიად მტყუანად გამოიყვანდა არა მარტო პოვროვს, არამედ თვითონ რექტორსაცა, რადგანაც აღმოაჩენდა დიდი ხნის მოუთმენელს უწესობასა, რომელსაც გულგრილად უცქეროდა რექტორი. რატომ თვითონ კერსკიმ არ მოახდინა გამოძიება? რატომ ჭეშმარიტების აღმოჩენა არ მოინდომა? უწესობის შემდეგ სულ ერთ წელიწადი არ იყო გასული, მოწაფენი ისევ სემინარიაში იყვნენ

<sup>2</sup> ფრჩხილებში ჩასმული გვარების დასახელება ეკუთვნის ი. გოგებაშვილს, ინიციალები კი რევიზორ კერსკის.

და არაფერი აბრკოლებდა გამოძიებასა. სჩანს, თვითონ კერსკი დარწმუნებული იყო, რომ პოვროვსა და რექტორს დიდი დანაშაულობა, საარაკო უვარგისობა დღესავით სწრაფად გამობრწყინდებოდა და მაშინ მას აღარ შეეძლებოდა თავის ანგარიშში ეთქვა: კოვროვი იმიტომ სძულდათ და იმიტომ გააძევეს სემინარიიდგან, რომ რუსი იყო, ნამდვილად კი მთელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იმიტომ ითმინეს კოვროვი ქართველებმა, რომ იგი რუსი იყო. ქართველი რომ ყოფილიყო, ქართველი მოწაფეები და მასწავლებლები ერთ წელიწადსაც არ აბოგინებდნენ. სემინარიაში იყო ფერშლად ერთი ურია, გვარად პოპერეკი, შინაური კაცი რექტორისა, მისი მომვლელი და ენა ტანია... მოწაფეებს ის სრულიად ყურს არ უგდებდა, რადგან უფროსის იმედი ჰქონდა. ხშირად მთელი დღეებით დაიკარგებოდა ხოლმე, თუმცა სადგური სემინარიაში ჰქონდა, და სტოვებდა უპატრონოთ ავადმყოფს მოწაფეებსა. ერთხელ უფროსი კლასის ერთი მოწაფე ფილტვების ავადმყოფობით შეიქმნა ავად. პოპერეკი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. იგი მხოლოდ გამოცხადდა მეორე დღესა, რომდესაც მოწაფე უკვე კვდებოდა და კიდევაც მოკვდა. ტურიევმა, როგორც თანაშემწემ ინსპექტორისამ და იმ დღის მორიგემ სემინარიის მმართველობას მოახსენა ეს გარემოება, აუხსნა უვარგისობა პოპერეკისა და მოითხოვა მისი დათხოვნა. ექიმს სობელშჩიკოვს მოთხოვეს აზრი, იმანაც ტურიევს მხარი დაუჭირა და პოპერეკი დათხოვნილი იქნა. თუმცა რექტორი ძლიერ ესარჩლებოდა. კერსკი ამ ამბავსაც სთვლის დასამტკიცებლად ქართველობის ეროვნული პარტიობისა. როგორ? პოპერეკი იმისათვის დაათხოვინეს ქართველებმა, რომ იგი იყო მომხრე რექტორისა და თავის დროზედ ატყობინებდა მათ განზრახვისა და წადილსაო. მერე ვინ გაამწესებინეს ქართველებმა ურის მაგივრად? ამაზედ სდუმს კერსკი. იქნება ქართველი? მაშინ ხომ დალაღებას დააწყებინებდა და მის დაბრალებას იოტის ოდენა საფუძველი მაინც ექნებოდა. არა, კანდიდატებად ქართველებმა წამოაყენეს ფერშალი რუსი ვასილიევი და კიდევ გაამწესებინეს. ურის ადგილზედ რუსის გამწესება კერსკიმ ჩასთვალა საბუთად ქართველების თითქმის სეპარატიზმისა. ეს ფაქტი ყველაზედ ცხადად ამკარად ხდის კერსკის საარაკო მიდრეკილებასა, რომ ქართველები რითაც კი შეიძლება შავად გამოეყვანა. უკანასკნელ საბუთად ქართველთა პარტიის არსებობისა სემინარიაში კერსკი რაცხს, მას რომ ტურიევი ემტერებოდა რექტორს და სძულდა კუვშინსკიო. ჩვენ რომ მარტო ის ბოროტ-მოქმედებანი რექტორისა ვირწმუნოთ, რომელნიც თვითონ კერსკისა აქვს აღიარებული თავის ანგარიშში, და სხვებს უფრო მძიმე მის „სარგებლობას“ თავი დავანებოთ, ისიც სრულიად ამართლებს ქართველების მოქმედებას სემინარიის უფროსის წინააღმდეგ. ამ წინააღმდეგობას ჰქონდა სრული პრინციპიალური სათავე და სარჩული, ყველა ქართველი მასწავლებლების მხრივ. მხოლოდ ტურიევის მოქმედება სწარმოებდა უფრო პირადი ანგარიშის და შურისძიებისაგან. მაშინდელი რექტორი, რომელსაც არა ჰქონდა საჭირო სამეცნიერო ხარისხი, არჩეული იქმნა, კანონის წინააღმდეგ, რექტორად, ტურიევის მხნე დახმარებით. მათ შორის საიდუმლო პირობა იყო თურმე დადებული: შენ მე მიშველე რექტორად ამორჩევაში და მე შენ ინსპექტორად ამოგარჩევინებო, იმ დროს ტურიევი და ვალენტინი დიდი მეგობრები იყვნენ, თანამებოთლები (содутельники), ერთად მოვიდნენ კიევიდგან და მათ გადაკიდებას ვერავინ მოიფიქრებდა. მაგრამ რა მოხდა? ტურიევმა პირობა მტკიცედ შეასრულა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყველა იხმარა, რომ რექტორად ამოერჩივნათ მისი მეგობარი. მაგრამ ეს მეგობარი იგდო თუ რა მან უფროსობა ხელში, განზედ გაუხტა ტურიევსა და პირველი

წინააღმდეგი გახდა მისი ინსპექტორად არჩევისა. მოტყუებული ტურიევი პირადი ბოროტებით აივსო და დაიფიცა, რომ რექტორობიდან ისევ ჩამოაგდებდა. ამ მუქარის ასრულებას ძლიერ ხელს უმართავდა თვითონ რექტორი, რომელიც გახდა თუ არა უფროსად საბელი მიუშვა ყველა თავის მხეცურს ინსტიტუტებსა, რომლითაც მდიდარი იყო.

ამის გამო ყველა ახალგაზრდა მასწავლებელი ქართველი თუ რუსი, რომელიც კი ეგოისტური შიშით არ იყო შეპყრობილი, რექტორის მოწინააღმდეგე შეიქმნა, რომ ამ წინააღმდეგობას ჰქონდა სრული საფუძველი და სიმართლე, აშკარად სჩანს იქიდგანა, რომ უმაღლესმა მთავრობამ სასტიკად დასაჯა რექტორი. უბრალო ბერად გაგზავნა მივარდნილს უკანასკნელს მონასტერში. კერსკის ლოგიკას რომ მივყვეთ, თვით უმაღლესი მთავრობა სეპარატულად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც რექტორის წინააღმდეგ მოიქცა. კუვშინსკის შესახებ კერსკი ბრძანებს, რომ იგი ტურიევსა და სხვა ქართველებს არ ეპიტნავებათ. ერთხელ ტურიევმა ზურგს უკან დურაკი დაუძახაო, და ასე გაშინჯეთ ზურგს უკან ენაც გამოუყო. სწორედ დიდი სეპარატისტობა გამოუჩენია ტურიევს ამ ენის გამოყოფით, ენა კი არ უნდა გამოეყო და დურაკი კი არ უნდა დაეძახნა პუვშინსკისათვის, რომელიც ყოველს ბოროტმოქმედებას რექტორისას ესარჩლებოდა, ბრძენი უნდა დაერქვა და სულ მის ფერებაში უნდა ყოფილიყო. მაშინ იგი და სხვა ქართველები დაიმსახურებდნენ კეთილ განზრახულ მომსახურეთა სახელს და კერსკისაგან ქება-დიდებას.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის პედაგოგმა:

**ქეთევან ციქუბაძემ**

**8 აპრილი, 2020 წელი**

**#დარჩისახლში**